

# საჯარო მენეჯერების შესახებ კანონპროექტის ანალიზი და შეფასება



2022



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

## **შინაარსი**

ძირითადი მიგნებები.....	4
I. ზოგადი პრინციპები.....	5
II. ქვეკონტრაქტორები.....	7
III. შავი სია .....	8
IV. შესყიდვის პროცედურები და ინსტრუმენტები .....	11
V. ცენტრალური შემსყიდველი ორგანო .....	16
VI. საჯარო შესყიდვის სპეციალისტთა სერტიფიცირება .....	17
VII. შესყიდვების კომიტეტი .....	17
VIII. დავების საბჭო .....	18
IX. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.....	19
X. ინტერესთა კონფლიქტი.....	19
დასკვნა .....	21

2022 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი. კანონპროექტი მოამზადა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, ხოლო წარადგინა საქართველოს მთავრობამ. პროექტის მიღებით არსებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდება და ამოქმედდება სრულიად ახალი კანონი. გარდა დასახელებისა, კანონპროექტი ითვალისწინებს მრავალ მნიშვნელოვან და კარდინალურ ცვლილებას, რომელიც ფაქტობრივად გარდაქმნის სახელმწიფო შესყიდვების არსებულ სისტემას. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, პროექტი შემუშავებულია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი აპროქსიმაციის ფარგლებში, შესაბამისად კანონპროექტის მიღებამ უნდა შეასრულოს ამ კუთხით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები. IDFI-ისანალიზის ფარგლებში განხილულია კანონპროექტით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ცვლილებები და მათი შესაბამისობა საქართველოს მიერ სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის მიერ წლების განმავლობაში გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით.

## ძირითადი მიგნებები

- პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ის გარემოება, რომ კანონის მიზნებში შემოდის მდგრადი განვითარების ხელშეყოფაც, რომელიც ასახული და გამოყარებულია შემსყიდველის უფლება-მოვალეობების თავშიც.
- პოზიტიურია ქვეკონტრაქტორების ცნების შემოტანა, დარეგულირება, წინასწარი გაცნობის ვალდებულება და ინტერსთა კონფლიქტის პირობების გავრცელება მათზე, რაც ხელს შეუწყობს კორუფციული რისკების შემცირებას.
- მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად ფართოვდება შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლები, ახალი კანონი ვერ ქრის მოქმედი კანონმდებლობით არსებულ გამოწვევებს შავ სიაში რეგისტრაციაზე შემსყიდველების დაბალ მიმართვიანობასთან და წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურის (მოქმედი კანონმდებლობით გამარტივებული შესყიდვის პროცედურის საპირწონე) შემთხვევაში შავ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლების მონაწილეობის შესახებ.
- კანონი საკმაოდ ზოგადად განსაზღვრავს შესყიდვების შეცვლილ პროცედურებსა და ინსტრუმენტებს, რაც მოგვიანებით უნდა დაზუსტდეს კანონქვემდებარე აქტებით, რამაც შესაძლოა მეტად გასაგები გახადოს მათი პრაქტიკული განხორციელების თავისებურებები.
- ცალკე ორგანოს შექმნა, რომელიც ამ კანონპროექტის მოცემულობით პასუხისმგებელი უნდა იყოს მხოლოდ ცენტრალიზებულ შესყიდვებზე, განმარტებით ბარათში დეტალურად არაა დასაბუთებული. ახალი სსიპ-ის დაფუძნება მოითხოვს

დამატებითი ბიუჯეტისა და ადამიანური რესურსის მობილიზებას, განმარტებითი ბარათით კი დაუდგენელია, რით საბუთდება მსგავსი დამატებითი ხარჯისა ბიუროკრატიული რგოლის საჭიროება.

- კანონპროექტით საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, ან სამტატო ნუსხაში სპეციალური თანამდებობის გამოყოფა, და სპეციალისტების სერტიფიცირება, გარკვეულწილად ხდება საფუძველი ზოგიერთ შესყიდვებთან დაკავშირებით კოლეგიური განხილვა ჩანაცვლდეს ამ სტრუქტურული ერთეულის, ან შესაბამისი სპეციალიტის მიერ ინდივიდუალური განხილვით, რამაც შესაძლოა გაზარდოს არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილების მიღების რისკი და გახდეს შესყიდვის დროულად და სამართლიანად დასრულების ხელისშემშლელი ფაქტორი.
- ახალი კანონპროექტი დეტალურად და მკაფიოდ ჩამოთვლის შემთხვევებს, რაც კონკრეტული შესყიდვისას ინტერესთა კონფლიქტად განიხილება, ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის პირობები გავრცელდება ქვეკონტრაქტორებზეც. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის, აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის დეტალური წესი და პირობები განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტი ჯერ მიღებული არ არის.

## I. ზოგადი პრინციპები

შესყიდვების კანონმდებლობის ახლად წარდგენილ ვერსიაში შეცვლილია კანონის დასახელება. კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში “სახელმწიფო შესყიდვა” ჩანაცვლდება ტერმინით “საჯარო შესყიდვა”. განმარტებითი ბარათის თანახმად, ტერმინი “სახელმწიფო შესყიდვა” არ უკავშირდება მხოლოდ სახელმწიფოს, მიზანშეწონილი იყო მისი საჯარო შესყიდვით შეცვლა. თავად კანონპროექტით ახალი ტერმინი განმარტებულია როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ამ კანონით დადგენილი წესით, საქონლის, სამშენებლო სამუშაოს ან მომსახურების შესყიდვა, მიუხედავად შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მიზნობრიობისა. ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვა შესაძლებელია განხორციელოს, ასევე, ნებისმიერმა პირმა (კერძო ორგანიზაცია), რომელიც არ არის ამ კანონით გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაცია. მაქსიმალური ღიაობის, გამჭვირვალობისა და კონკურენციის უზრუნველსაყოფად, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელოს ისეთი შესყიდვაც, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება. ასეთი შესყიდვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განხორციელება არ იწვევს მისი ამ კანონის მოქმედების სფეროსადმი დაქვემდებარებას. ახლადნელ მოქმედ ვერსიაში

სახელმწიფო შესყიდვის კლასიფიკაცია დამოკიდებულია შესყიდვის სახსრებზე, შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვად ითვლება ისეთი შესყიდვა, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტით, ან მათ დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების მიერ, სახელმწიფო გრანტით მიღებული საინვესტიციო სახსრებით განხორციელებული შესყიდვები და ა.შ. ინიცირებული პროექტით კი ასეთი მკაფიო განმარტებები მოცემული არ არის.

კანონს ემატება ეკონომიკური ოპერატორის ცნება, რომელიც განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, პირთა გაერთიანება, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც ბაზარზე სთავაზობს საქონლის მიწოდებას, სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას. ეკონომიკური ოპერატორის კლასიფიკაციაში კი, მოქმედ ვერსიაში არსებული პრეტენდენტი და მიმწოდებელი რჩება, თუმცა ემატება ახალი ტერმინი - კანდიდატი. განმარტების მიხედვით კანდიდატი არის ეკონომიკური ოპერატორი, რომელმაც განაცხადით მოითხოვა მონაწილეობა ან რომელიც მიწვეულ იქნა მონაწილეობის მისაღებად შეზღუდულ პროცედურაში, კონკურენტულ დიალოგში, წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკების პროცედურაში, წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურაში, ინოვაციურ პარტნიორობაში ან კონკურსში (აღნიშნული ახალი პროცედურების განხილვა მოცემულია პროცედურებისა და ინსტრუმენტების თავში).

გარკვეულ ცვლილებას განიცდის კანონის მიზნებიც, კერძოდ მოქმედ ვერსიაში მითითებულია შედეგი მიზნები:

- ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

ინიცირებული ცვლილებებით მიზნებს ემატება შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართულ პირთა კეთილსინდისიერი ქცევის, ანგარიშვალდებულების, მათი პოლიტიკური, მატერიალური და პირადი ინტერესებისაგან თავისუფალი წესების დადგენის უზრუნველყოფა, ამასთან შემსყიდველ ორგანიზაციებსა და ეკონომიკურ ოპერატორებს შორის კეთილსინდისიერებაზე, პროფესიონალიზმსა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ინსტიტუციური გარემოს შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ მიზნებში შემოდის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაც, რომელიც ასახულია შემსყიდველის უფლება-მოვალეობების თავშიც.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც IDFI-ს მიერ იყო წამოწეული ელექტრონული სისტემის გამჭვირვალობასთან მიმართებაში, იყო საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება ღია, მანქანა-

წაკითხვად ფორმატში. ეს მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კანონმდებლობაში, რადგან ამ ეტაპზე ელექტრონულ სისტემაში საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით არსებული მონაცემების საჯაროობის მოთხოვნა მხოლოდ განზოგადებული სახით არის შეტანილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვალდებულება საქართველოს დია მმართველობის პარტნიორობის 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმითაც ჰქონდა აღებული. დასრულების თარიღად 2019 წელი იყო განსაზღვრული, თუმცა პროექტის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ინფორმაციის გამოქვეყნება დია, მანქანა-წაკითხვად ფორმატში ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასაც.

## II. ქვეკონტრაქტორები

კანონპროექტში გაჩნდა ქვეკონტრაქტორის განმარტება, როგორც – ეკონომიკური ოპერატორი, რომელსაც ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი (მიმწოდებელი), ამ კანონით დადგენილი წესით, შესასრულებლად გადასცემს საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ნაწილს, ამასთან დაემატა ტერმინი “სხვა ეკონომიკური ოპერატორი, რომლის შესაძლებლობასაც ეყრდნობა ეკონომიკური ოპერატორი” – ეკონომიკური ოპერატორი, რომლის შესაძლებლობასაც ეყრდნობა ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ფაქტი, რომ კანონით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის პირობები, ეკონომიკურ ოპერატორთან ერთად, აგრეთვე, ვრცელდება ქვეკონტრაქტორისა და იმ სხვა ეკონომიკური ოპერატორის მიმართაც, რომლის შესაძლებლობებსაც იყენებს ძირითადი ეკონომიკური ოპერატორი. ამასთან, თუ ეკონომიკური ოპერატორი ქვეკონტრაქტორის სერვისის გამოყენებას აპირებს, ის ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წინადადების წარდგენის ეტაპზე მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ ქვეკონტრაქტორმა უნდა შეასრულოს შესყიდვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ს მაინც ან/და შესყიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის კონკრეტული/მნიშვნელოვანი ნაწილი, თუ ასეთი კონკრეტული/მნიშვნელოვანი ნაწილი განსაზღვრულია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის პირობებში. ასეთ შემთხვევაში დისკვალიფიკაციის საფუძვლები მოწმდება როგორც ძირითადი ეკონომიკური ოპერატორის მიმართ, ასევე წარდგენილი ქვეკონტრაქტორის მიმართაც. მათი გამოყენება შერჩეულ მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების პასუხიმგებლობისგან და მიმწოდებელი თავად აგებს პასუხს შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე.

ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მოითხოვოს, რომ კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ვალდებულებები შეასრულოს მხოლოდ ეკონომიკურმა ოპერატორმა, რაც უნდა დასაბუთდეს შესყიდვის პირობებში. ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდოს ამ კანონით, შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და შესყიდვის პირობებით განსაზღვრული სავალდებულოდ წარსადგენი ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის ცვლილების ან/და დამატების შესახებ. დამატებით, ქვეკონტრაქტორის გამოყენების

დეტალური წესი განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. აღნიშნული ცვლილება პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, რადგან ის დადებითად იმოქმედებს შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობაზე. მომქმედი კანონმდებლობით მსგავსი რეგულაციები ქვეკონტრაქტორების მიმართ არ იყო გათვალისწინებული, რაც მრავალი წლის მანძილზე ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენდა კორუფციული რისკების კუთხით. შესაბამისად, გამჭვირვალობის მსგავსი სტანდარტის დამკვიდრება ქვეკონტრაქტორებთან მიმართებაში გაზრდის კონტროლის მექანიზმის ეფექტურობას როგორც სააგენტოს მხრიდან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდანაც.

ქვეკონტრაქტორების გაუმჭვირვალობის პრობლემა ხაზგასმული იყო IDFI-ის კვლევებშიც და ორგანიზაციის რეკომენდაცია შესყიდვების სისტემაში მსგავსი კომპანიების გამჭვირვალობა და დარეგულირება იყო. **აღნიშნული კანონპროექტით კი ორგანიზაციის რეკომენდაცია სრულადაა გათვალისწინებული, რაც მისასაღებელია.**

### III. შავი სია

ინიცირებული კანონპროექტით იცვლება და ფართოვდება შავ სიაში მიმწოდებლის რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძვლები და ვადები. კერძოდ, ეკონომიკური ოპერატორი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში:

- ეკონომიკური ოპერატორი ან პირი, რომელიც არის მისი მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ან რწმუნებული, ან პირი, რომელსაც აქვს უფლება წარმოადგენდეს ეკონომიკურ ოპერატორს შვილობილი საწარმოების საქმიანობაში, ნასამართლევია ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისთვის:
  - ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, ზეგავლენით ვაჭრობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება ან კომერციული მოსყიდვა;
  - თაღლითობა, მითვისება ან გაფლანგვა, ფულის გათეთრება;
  - გადასახადისათვის თავის არიდება;
  - ტერორისტული აქტი, ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა, ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება, ტერორიზმის მუქარა, წვრთნის ჩატარება და ინსტრუქტაჟის გაწევა ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის;
  - ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა;
  - სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული, რომელიც არ არის განსაზღვრული ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“-„ა.დ“ ქვეპუნქტებით;



- სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დადასტურდა ეკონომიკური ოპერატორის მიერ შრომითი უფლებების დარღვევა, როგორცაა:
  - აკრძალულ შემთხვევებში არასრულწლოვანთა დასაქმება;
  - დასაქმება ერთი ან მეტი პირისა, რომელიც/რომლებიც არ არის/არ არიან საქართველოს ან ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეები, თუ ის/ისინი საქართველოს ან ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება/იმყოფებიან უკანონოდ;
  - პირის დასაქმება შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების გარეშე, როდესაც კანონმდებლობით არსებობს შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადების ვალდებულება, აგრეთვე, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, ამ პირის შესახებ შესაბამისი დეკლარაციის წარუდგენლობა, რაც წარდგენილ უნდა იქნეს პირის მიერ მუშაობის დაწყების შემთხვევაში;
- სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელიც აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას (საბოლოო ან/და გასულია გასაჩივრების ვადა), ეკონომიკური ოპერატორი მიჩნეულ იქნა კონკურენციის წესების დამრღვევად, რაც გამოიხატა კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულების დადებით, გადაწყვეტილების მიღებით ან შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობით. ეს დებულება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკურმა ოპერატორმა გადაიხადა ჯარიმა, ან როდესაც უფლებამოსილმა ორგანომ, კონკურენციის წესების დარღვევის გამოვლენის შემდგომ გაათავისუფლა ეკონომიკური ოპერატორი ჯარიმისგან ან შეუმცირა ჯარიმა თანამშრომლობის წახალისების პროგრამის ფარგლებში, ამასთან, ეკონომიკურმა ოპერატორმა მიიღო სათანადო ზომები კონკურენციის წესების დარღვევის პრევენციისათვის;
- შემსყიდველი ორგანიზაციის სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებით დასტურდება საჯარო შესყიდვაში მონაწილეობისას ეკონომიკური ოპერატორის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, როგორცაა:
  - სხვა ეკონომიკურ ოპერატორთან მოლაპარაკება საჯარო შესყიდვის პროცედურაზე ზეგავლენის მოხდენის ან/და მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით;
  - ამ კანონით, შესაბამისი ნორმატიული აქტით ან შესყიდვის პირობებით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, შესყიდვების პროცედურების მიმდინარეობისას მცდარი ინფორმაციის განზრახ ან გაუფრთხილებლად წარდგენა;
  - შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისათვის ხელის შეშლა, იმ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რომლითაც მას გაუმართლებელი უპირატესობა შეიძლება მიეღო საჯარო შესყიდვის პროცედურაში;

შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი შავ სიაში რეგისტრირდება:

- 3 წლის ვადით – ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (ნასამართლეობის შემთხვევა სისხლის სამართლის დანაშაულზე), თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის აკრძალვის უფრო მეტი ვადა არაა გათვალისწინებული; ბ
- 2 წლის ვადით – ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (შრომის სამართლის დარღვევების გამო)
- 1 წლის ვადით – ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (შესყიდვის ხელშეკრულების ვალდებულებების შეუსრულებლობა);

სააგენტო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოსგან გამოითხოვოს, შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის 26 დასადგენად აუცილებელი, ეკონომიკური ოპერატორის ან სხვა პირის შესახებ საგადასახადო საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია ან სხვა ნებისმიერი ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად ფართოვდება შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლები, ახალი კანონის ვერ ჭრის მოქმედი კანონმდებლობით არსებულ გამოწვევებს შავს სიასთან მიმართებით:

- შავ სიაში რეგისტრაციისათვის კვლავ საჭიროა შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში, უშუალოდ შესყიდვასთან დაკავშირებული დარღვევებისას შემსყიდველი ორგანიზაციები სააგენტოს არ მიმართავენ შავ სიაში რეგისტრაციისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ინიცირებულ ვერსიაში, გარდა შესყიდვასთან დაკავშირებული დარღვევისა, გათვალისწინებულია ისეთი დარღვევები, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან სჭირდება დამატებითი დოკუმენტაციის შეკრება და შესწავლა, რაც დამატებით მოითხოვს ადამიანურ რესურსს და კონტროლის მატალ დონეს, შესაძლოა მსგავსი ჩანაწერი დარჩეს ფორმალურ დათქმად. ამასთან, კანონპროექტში მითითებულია, რომ შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლის არსებობის დასადგენად აუცილებელი საგადასახადო საიდუმლოების ან პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაციის ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია სააგენტოს და არა შემსყიდველ ორგანიზაციას, რამაც შესაძლოა ასევე გაართულოს შემსყიდველის მხრიდან ეკონომიკური ოპერატორის შემოწმების შესაძლებლობა.
- არ არის დადგენილი წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურის (მოქმედი კანონმდებლობით გამარტივებული შესყიდვის პროცედურის საპირწონე) გამოყენების შემთხვევაში შავ სიაში შეყვანილ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების დადების დაუშვებლობა და ასეთის შემთხვევაში შესაბამისი სანქცია.

თუმცა, კანონპროექტი უთითებს, რომ შავი სიის წარმოების დეტალური წესი განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომელიც ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი არ არის,

შესაბამისად, მიზანშეწონილია მსგავსი საკითხების დარეგულირება მოხდეს სწორედ აღნიშნული კანონქვემდებარე აქტით.

## IV. შესყიდვის პროცედურები და ინსტრუმენტები

### პროცედურები

ახალ კანონპროექტს შემოაქვს შესყიდვების პროცედურების სრულიად ახალი დასახელებები. კერძოდ განსაზღვრულია შემდეგი 8 პროცედურა:

- **ღია პროცედურა** - ერთეტაპიანი პროცედურა, სადაც შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას და აქვეყნებს სრულყოფილ, საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის შემცველ შესყიდვის პირობებს. წინადადების წარდგენა კი შეუძლია ნებისმიერ ეკონომიკურ ოპერატორს. შემსყიდველ ორგანიზაციას არ შეუძლია შეამციროს პრეტენდენტების რაოდენობა, ასევე დაუშვებელია ღია პროცედურაში მოლაპარაკების გამართვა.
- **შეზღუდული პროცედურა** - ორეტაპიანი პროცედურა, სადაც შემსყიდველი ორგანიზაცია აცხადებს საჯარო შესყიდვას, განაცხადის წარსადგენად იწვევს ნებისმიერ ეკონომიკურ ოპერატორს და განსაზღვრავს წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას. წარდგენილი განაცხადების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს, არიან თუ არა ეკონომიკური ოპერატორები სათანადოდ კვალიფიცირებულნი, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი შესყიდვის პირობებით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და შერჩეულ კანდიდატებს იწვევს წინადადებების წარსადგენად. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეამციროს კანდიდატთა რაოდენობა. ამასთან, დაუშვებელია შეზღუდულ პროცედურაში მოლაპარაკების გამართვა.
- **კონკურენტული დიალოგი** - ორეტაპიანი პროცედურა, რომლის გამოყენებაც შეიძლება რამდენიმე შემთხვევაში, კერძოდ თუ:  
შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებები ვერ დაკმაყოფილდება ბაზარზე ხელმისაწვდომი გადაწყვეტის გზების მისადაგების გარეშე; შესყიდვა მოიცავს დიზაინს ან ინოვაციურ გადაწყვეტას; შესყიდვის ხელშეკრულება ვერ დაიდება წინასწარი მოლაპარაკების გარეშე მის ბუნებასთან, სირთულესთან, სამართლებრივ და ფინანსურ სტრუქტურასთან ან რისკებთან დაკავშირებული გარემოებების გამო; შემსყიდველი ორგანიზაცია მკაფიოდ ვერ განსაზღვრავს სპეციფიკაციებს შესაბამის სტანდარტზე მითითებით; ასევე, როდესაც საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების შესასყიდად გამოცხადებული ღია ან შეზღუდული პროცედურები არ შედეგა ან დასრულდება უარყოფითი შედეგით.  
ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის პირობებში განსაზღვრავს საჭიროებებსა და მოთხოვნებს, აგრეთვე, საუკეთესო წინადადების მოვლენის

კრიტერიუმებსა და ვადებს. სავალდებულოა ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმის გამოყენება. წარდგენილი განაცხადების მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია აღგენს, არიან თუ არა ეკონომიკური ოპერატორები სათანადოდ კვალიფიცირებულნი, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი შესყიდვის პირობებით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და შერჩეულ კანდიდატებს იწვევს კონკურენტულ დიალოგში მონაწილეობის მისაღებად. შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებთან იწყებს დიალოგს, რომლის მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებების მიღწევის საუკეთესო საშუალების იდენტიფიცირება და განსაზღვრა. შემსყიდველი ორგანიზაცია დიალოგს აგრძელებს მანამ, სანამ მას არ შეეძლება საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალების იდენტიფიცირება. მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია დიალოგს დასრულებულად გამოაცხადებს და აცნობებს ამას შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებს, იგი დიალოგის განმავლობაში წარმოჩენილი და განსაზღვრული საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალების საფუძველზე სთხოვს მათ საბოლოო წინადადებების წარდგენას. შემსყიდველი ორგანიზაცია წინადადებებს აფასებს შესყიდვის პირობებში განსაზღვრული საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებზე დაყრდნობით და იწვევს საუკეთესო შეთავაზების მქონე პრეტენდენტს ხელშეკრულების საბოლოო პირობების განსაზღვრისათვის.

- **ინოვაციური პარტნიორობა** - ორეტაპიანი პროცედურა. ინოვაციური პარტნიორობის მიზანია ინოვაციური საქონლის, მომსახურების ან/და სამუშაოს შემუშავება/განვითარება და ასეთი საქონლის, მომსახურების ან/და სამუშაოს შესყიდვა, იმ პირობის დაცვით, რომ იგი აკმაყოფილებს შემსყიდველ ორგანიზაციასა და მონაწილეებს შორის შეთანხმებულ ხარისხსა და მაქსიმალურ ღირებულებას. შესყიდვის პირობებში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიუთითოს ინოვაციური, მათ შორის, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების, მათ შორის, კვლევა-განვითარების საჭიროება, რომელიც ვერ იქნება მიღწეული ეროვნულ ან საერთაშორისო ბაზარზე არსებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვით. შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ინოვაციური პარტნიორობა დაიწყოს ერთ ან რამდენიმე პარტნიორთან, რომლებიც კვლევისა და განვითარების საქმიანობას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ. ამ მიზნით, იგი პარტნიორთან/პარტნიორებთან აფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს ინოვაციური პარტნიორობის შესახებ. კანდიდატების შერჩევისას, შემსყიდველი ორგანიზაცია იყენებს კრიტერიუმებს, რომლებიც ეხება კანდიდატების შესაძლებლობებს კვლევისა და განვითარების სფეროში, ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და დანერგვაში. მხოლოდ იმ ეკონომიკურ ოპერატორებს, რომელთაც მოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაცია შეფასების შედეგად, შეუძლიათ წარადგინონ კვლევისა და ინოვაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ისეთი საჭიროებები, რომლებიც ვერ იქნება მიღწეული გადაწყვეტის არსებული გზებით.
- **კონკურსი** - რომლის მეშვეობითაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია შეისყიდოს გეგმა ან დიზაინი, მათ შორის, ქალაქისა და დასახლების დაგეგმარების, არქიტექტურულ

და საინჟინრო ან მონაცემების დამუშავების სფეროში. კონკურსს ატარებს სპეციალური ჟიური, რომელიც შედგება კონკურსის მონაწილეთაგან დამოუკიდებელი პირებისგან. ჟიური მოქმედებს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია კონკურსის მონაწილეთათვის განსაზღვრავს აუცილებელ პროფესიულ კვალიფიკაციას, ჟიურის, სულ მცირე, მესამედი მაინც უნდა იყოს დაკომპლექტებული იმავე ან ეკვივალენტური კვალიფიკაციის მქონე პირებისგან. ჟიური აწარმოებს ანგარიშს, რომელშიც აღინიშნება პროექტების რანჟირება მათი ღირებულებიდან გამომდინარე, აგრეთვე, შენიშვნები და საკითხები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას. ანგარიშს ხელს აწერენ ჟიურის წევრები. ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე დაცული უნდა იყოს ანონიმურობა. ჟიური უფლებამოსილია, კითხვებზე პასუხის გასაცემად, მოიწვიოს კანდიდატები.

- **წინასწარი გამოქვეყნებით მოლაპარაკების პროცედურა** - ორეტაპიანი პროცედურაა. აღნიშნული პროცედურა შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას, შესყიდვის პირობების წინასწარი გამოქვეყნების შემდეგ, შესყიდვის პირობებით განსაზღვრული საჭიროებების/მოთხოვნების, აგრეთვე, მის მიერ განსაზღვრული საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმების შესაბამისად, შერჩეულ ეკონომიკურ ოპერატორებთან აწარმოოს მოლაპარაკება. პროცედურის გამოყენება შესაძლებელია იდენტურ ვითარებებში, რომელშიც კონკურენტული დიალოგის გამოყენებაა დასაშვები.
- **წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურა** - შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს საშუალებას, საჯარო შესყიდვის გამოცხადების გარეშე გამართოს მოლაპარაკება ეკონომიკურ ოპერატორ(ებ)თან შესყიდვის ხელშეკრულების დადების მიზნით. წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურა დაიშვება იმავე შემთხვევებში, რა შემთხვევებშიც მოქმედი კანონმდებლობით გამარტივებული შესყიდვის პროცედურის გამოყენებაა შესაძლებელი. ამასთან, ზოგიერთი წინაპირობა მეტადაა გავრცობილი და დაკონკრეტებული. დამატებულია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სსიპ-ის რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებული შესყიდვა საარჩევნო/სარეფერენდუმო პირობებში, არჩევნების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით; სახელმწიფო თეატრების, მუსიკალური ცენტრების, სახელოვნებო დაწესებულებებისა და ანსამბლების სადადგომო და შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევა; ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვის შემთხვევა, არარეზიდენტი ეკონომიკური ოპერატორისგან, როცა საქართველოს ბაზარზე არ არსებობს შესაბამისი აკრედიტაციის ლაბორატორია, ან ასეთი ლაბორატორია ვერ უზრუნველყოფს მომსახურებას. გამარტივებული შესყიდვა აგრეთვე დაიშვება, როდესაც შესყიდვის მიზანია ხელოვნების ნიმუშის ან მხატვრული ნაწარმოების შექმნა/შესყიდვა; კვლავ საჭიროა უმეტესი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში სააგენტოსგან თანხმობის მიღება აღნიშნული პროცედურის გამოყენებაზე. ამასთან, გაიზარდა ერთი დაფინანსების წყაროდან შესასყიდი ერთგვაროვანი ობიექტების ჯამური ღირებულებულების ზღვარი, და გაიმიჯნა საქონელი/მომსახურებისა და სამუშაოს შემთხვევები, რომელთა დროსაც დასაშვებია

წინასწარი გამოქვეყნების გარეშე პროცედურის გამოყენება: 10,000 ლარზე ნაკლები საქონლის ან მომსახურების შემთხვევაში და 20,000 ლარზე ნაკლები - სამუშაოს შემთხვევაში (მოქმედი რედაქციით აღნიშნული ზღვარი ორივე შემთხვევაში 5,000 ლარია).

- **საჯარო შესყიდვის პროცედურები სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში მომსახურების შესყიდვის მიზნით** - სოციალურ და სხვა სპეციფიკურ სფეროში, მომსახურების შესყიდვის მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საჯარო შესყიდვის განსხვავებული პროცედურები, რომლებიც განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. აღნიშნული კანონი ადგენს CPV კოდებს, რომლებში მოქცეული საქონელი/მომსახურება აკმაყოფილებს აღნიშნული სფეროს კრიტერიუმს. შესყიდვის პირობების დადგენისას, შემსყიდველ ორგანიზაციებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ისეთი საკითხები, როგორცაა მომსახურების ხარისხი, უწყვეტობა, ხელმისაწვდომობა და ყოვლისმომცველობა, სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოწყვლადი ჯგუფები) საჭიროება, მომხმარებელთა ჩართულობა და წახალისება, ინოვაცია. აგრეთვე, შესყიდვის პირობებით შესაძლებელია დადგინდეს, რომ მომსახურების გამწევი შეირჩევა ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმზე დაყრდნობით, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნება სოციალური მომსახურებისათვის ხარისხისა და მდგრადობის კრიტერიუმები. საჯარო შესყიდვის პროცედურა უნდა გამოცხადდეს, შესყიდვის პირობები (რომელიც უნდა შეიცავდეს ამ კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას) უნდა გამოქვეყნდეს და საჯარო შესყიდვის პროცედურები უნდა წარმართოს ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

IDFI-ის 2021 წლის გამჭვირვალე სახელწიფო შესყიდვების რეიტინგის (TPPR) ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის [შეფასების](#) მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობით, პრობლემად რჩებოდა გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისთვის შესაძლო გამონაკლისების რაოდენობა, რაც ნაკლებ ეფექტურს ხდიდა შესყიდვების სისტემას. ეს პრობლემა აღინიშნებოდა ასევე OECD-ს მიერ საქართველოს ანტიკორუფციული გარემოს შეფასების პილოტური [ანგარიშში](#). ის გარემოება, რომ ახალ კანონპროექტში წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურა დაიშვება უმეტესად იმავე შემთხვევებში, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, ამასთან დამატებულია რამდენიმე სპეციფიკური გარემოება, რაც ზრდის გამარტივებული შესყიდვის პროცედურის გამოყენების საფუძვლებს, აჩვენებს, რომ პრობლემა გადაუჭრელი დარჩება. ამასთან, ჯამური ღირებულების ზღვრის ზრდაც, თავის მხრივ ზრდის რისკებს, რომ გამარტივებული შესყიდვის პროცედურა უფრო მეტად იქნება გამოყენებული.

## ინსტრუმენტები

ახალი კანონმდებლობა, გარდა შესყიდვის პროცედურებისა, განსაზღვრავს განსხვავებულ შესყიდვის ინსტრუმენტებს და აგრეგირებულ შესყიდვებს.

ინსტრუმენტებია:

- **ჩარჩო შეთანხმება** - ჩარჩო შეთანხმება არის ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასა და ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ ოპერატორს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიზანია ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში გასაფორმებელი შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების დადგენა, კერძოდ, მოსალოდნელ ფასთან და, სადაც საჭიროა, რაოდენობასთან დაკავშირებით. ჩარჩო შეთანხმება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როდესაც შესყიდვის ობიექტის ზუსტი ოდენობა ან/და მიწოდების კონკრეტული ვადა არ არის წინასწარ ზუსტად ცნობილი/განსაზღვრული. ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, შესყიდვის ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს მხოლოდ ჩარჩო შეთანხმების შესყიდვის პირობებით განსაზღვრულ შემსყიდველ ორგანიზაციას/შემსყიდველ ორგანიზაციებსა და ჩარჩო შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ ოპერატორს/ეკონომიკურ ოპერატორებს შორის.
- **დინამიკური შესყიდვის სისტემა** - დინამიკური შესყიდვის სისტემა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული საშუალებების მეშვეობით და გამოიყენება ბაზარზე ფართოდ გავრცელებული შესყიდვის ობიექტის შესყიდვისათვის, როდესაც ბაზარზე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს. დინამიკური შესყიდვის სისტემა არ გამოიყენება ინდივიდუალურად განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების შესყიდვის მიმართ. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, შესყიდვის ობიექტი, შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, დაყოს კატეგორიების მიხედვით, რაც უნდა დასაბუთდეს. ეს თავისებურებები შეიძლება უკავშირდებოდეს შესყიდვის ხელშეკრულების მაქსიმალურ დასაშვებ მოცულობას ან გეოგრაფიულ არეალს, რომლის ფარგლებშიც დაიდება შესყიდვის ხელშეკრულებები. დინამიკური შესყიდვის სისტემის გამოყენებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია ეყრდნობა შეზღუდული პროცედურისადმი გამოსაყენებელ წესებს.
- **ელექტრონული რევერსული აუქციონი** - ელექტრონული რევერსული აუქციონი წარმოადგენს განმეორებად ელექტრონულ პროცესს, რომელიც იმართება წინადადებების სრული შეფასების შემდეგ და უზრუნველყოფს წინადადებების რიგითობის ავტომატურად განსაზღვრას, ელექტრონულ სისტემაში არსებული ალგორითმის გამოყენებით, დაბალი ფასის ან ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმზე დაყრდნობით. ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესყიდვის პირობებით დადგენილია შეფასების თვლადი კრიტერიუმები და ალგორითმს ავტომატურად შეუძლია მათზე დაყრდნობით წინადადებების რიგითობის განსაზღვრა.

- **ელექტრონული კატალოგი** - ელექტრონულ კატალოგს, საჯარო შესყიდვაში მონაწილეობის მიზნით, ეკონომიკური ოპერატორი ადგენს შესყიდვის პირობებში განსაზღვრული სპეციფიკაციებისა და ფორმის შესაბამისად. სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, შესაძლებელია, განისაზღვროს ის შესყიდვის ობიექტი/ობიექტები, რომელთან/რომლებთან დაკავშირებითაც წინადადებების წარდგენის ფორმად გამოყენებულ უნდა იქნეს ელექტრონული კატალოგი.

აგრეგირებული საჯარო შესყიდვებია:

- **ცენტრალიზებული შესყიდვა** - კონსოლიდირებული შესყიდვის შემცველი; ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მიერ, ცენტრალიზებულ შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას, რაც შეიძლება მოიცავდეს შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ფართო მოხმარების/მუდმივი საჭიროების საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვას; შესყიდვის ხელშეკრულების ან ჩარჩო შეთანხმების დადებას ფართო მოხმარების/მუდმივი საჭიროების საქონელზე, სამუშაოზე ან/და მომსახურებაზე, რომელიც განკუთვნილია შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის.
- **ერთობლივი შესყიდვა** - ორი ან მეტი შემსყიდველი ორგანიზაცია შესაძლებელია შეთანხმდეს კონკრეტული საჯარო შესყიდვის ერთობლივად განხორციელების შესახებ.

პროცედურებისა და ინსტრუმენტების დიდი ნაწილი კარდინალურადაა შეცვლილი. ცხადია ძირითადი პრინციპების დონეზე კვლავ რჩება მოქმედი კანონდებლობის კლასიფიკაციებიც, თუმცა შემოტანილია ახალი ცნებები, რომლებსაც შესაძლოა სჭირდებოდეს დამატებითი განმარტებები. ამასთან, კანონი საკმაოდ ზოგადად განსაზღვრავს პროცედურებსა და ინსტრუმენტებს, რაც მოგვიანებით უნდა დაზუსტდეს კანონქვემდებარე აქტებით, რამაც შესაძლოა მეტად გასაგები გახადოს მათი პრაქტიკული განხორციელების თავისებურებები.

## V. ცენტრალური შემსყიდველი ორგანო

კანონპროექტით გათვალისწინებულია ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს შექმნა. გარდამავალი და დასკვნითი დებულებების თანახმად, საქართველოს მთავრობამ ორგანო 2027 წლის 1 იანვრამდე უნდა შექმნას, დაამტკიცოს მისი დებულება, აგრეთვე, ამავე ვადაში დანიშნოს მისი ხელმძღვანელი. კანონპროექტის მიხედვით, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ფუნქციები ჩანს ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების პროცედურებში. ამავდროულად, რჩება ძველი რედაქციით მოქმედი სააგენტო, რომელიც იცვლის სახელს და ხდება საჯარო შესყიდვების სააგენტო. ფუნქცია-მოვალეობებით კი შესყიდვების სააგენტოს ჩაანაცვლებს. ცალკე ორგანოს შექმნა, რომელიც ამ კანონპროექტის მოცემულობით პასუხისმსმეგებელი უნდა იყოს მხოლოდ ცენტრალიზებულ შესყიდვებზე, განმარტებით ბარათში დეტალურად არაა დასაბუთებული.



ცხადია, რომ ახალი სსიპ-ის დაფუძნება მოითხოვს დამატებითი ბიუჯეტისა და ადამიანური რესურსის მობილიზებას, განმარტებითი ბართით კი დაუდგენელია, რით საბუთდება მსგავსი დამატებითი ხარჯისა ბიუროკრატიული რგოლის საჭიროება.

## VI. საჯარო შესყიდვის სპეციალისტთა სერტიფიცირება

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაწესებულების სტრუქტურაში ან სამტატო ნუსხაში განსაზღვროს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული ან თანამდებობის პირი (თანამშრომელი). აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც უშუალოდ ჩართულნი არიან საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში, უნდა ფლობდნენ საჯარო შესყიდვის სპეციალისტის სერტიფიკატს. სერტიფიკატს სერტიფიცირების საფუძველზე გასცემს სააგენტო. სერტიფიცირებისთვის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია ჩაატაროს სერტიფიცირებისთვის მოსამზადებელი კურსი (სერტიფიცირების პროგრამა). სერტიფიცირების პროგრამის გავლისთვის წესდება საფასური, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. სერტიფიცირების პროგრამის გავლა სერტიფიკატის აღების მიზნით სავალდებულო არ არის.

## VII. შესყიდვების კომიტეტი

შესყიდვების კომიტეტი მოქმედ კანონმდებლობაში არსებული სატენდერო კომისიის ექვივალენტია. მის მსგავსად, კომიტეტიც შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით იქმნება. შესყიდვების კომიტეტი შესაძლოა შეიქმნას როგორც კონკრეტული შესყიდვის განხორციელების მიზნით, ისე განუსაზღვრელი ვადით, თუმცა პრიორიტეტი ენიჭება კონკრეტული ან კონკრეტული ტიპის შესყიდვებისთვის შექმნას, კომიტეტის წევრთა სპეციალიზაციის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ახალი კანონი აღგენს, რომ შესყიდვა შესაძლოა ჩატარდეს შემსყიდველი კომიტეტის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქონლის/მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 100,000 ლარს ან შესყიდვის ობიექტია ისეთი სამუშაო, რა დროსაც დაუშვებელია საჯარო შესყიდვის ჩატარება კომიტეტის გარეშე. თუ კომიტეტის გარეშე შესყიდვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, საჯარო შესყიდვის პროცედურებს წარმართავს შემსყიდველი ორგანიზაციის საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული ერთეული ან თანამდებობის პირი, ხოლო გადაწყვეტილებას იღებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ან მის მიერ განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე. შესაბამისად, საჯარო შესყიდვასთან დაკავშირებული ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, ან სამტატო ნუსხაში სპეციალური თანამდებობის გამოყოფა, და სპეციალისტის სერტიფიცირება, გარკვეულწილად ხდება საფუძველი გარკვეულ შესყიდვებთან დაკავშირებით არ მოხდეს კოლეგიური განხილვა, რამაც შესაძლოა გაზარდოს არაკეთილსინდისიერი გადაწყვეტილების მიღების რისკი და გახდეს შესყიდვის დროულად და

სამართლიანად დასრულების ხელისშემშლელი. ამასთან, შესაძლოა მსგავსი პროცედურის ხშირად გამოყენებამ გამოიწვიოს ადამიანური რესურსის დატვირთვა და პროცედურების დროული დასრულების შეფერხება.

## VIII. დავების საბჭო

დავების განმხილველ საბჭოს გასაჩივრების პროცედურაში კვლავ გათვალისწინებულია წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურასთან (მოქმედი რედაქციით გამარტივებული შესყიდვის პროცედურა) დაკავშირებული გადაწყვეტილების/ქმედების საბჭოში გასაჩივრების უფლება. ასეთი საჩივრის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ღირებულება შეადგენს ან აღემატება

შირის სამართლებრივი აქტებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება/ქმედება არ გასაჩივრდება, თუ უკვე დადებულია შესყიდვის ხელშეკრულება, თუმცა ეს დათქმა არ ეხება წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკებების პროცედურას. ამასთან, გასაჩივრების უფლება რეგულირდება შესყიდვის პროცედურების მიხედვით, კერძოდ, გასაჩივრების უფლება აქვთ:

- ნებისმიერ ეკონომიკურ ოპერატორს - თუ გადაწყვეტილება/ქმედება ეხება შესყიდვის პირობებს, წინასწარ საინფორმაციო შეტყობინებას, შესყიდვის შესახებ განცხადებას ან შესყიდვის დოკუმენტაციას;
- კანდიდატს – თუ საჩივარი ეხება განაცხადების წარდგენის ეტაპიდან წინადადებების წარდგენის ეტაპის ჩათვლით მიღებულ/განხორციელებულ გადაწყვეტილებას/ქმედებას;
- პრეტენდენტს – თუ საჩივარი ეხება წინადადებების წარდგენის ეტაპიდან მიღებულ/განხორციელებულ გადაწყვეტილებას/ქმედებას;
- ჩარჩო შეთანხმების მონაწილეს – თუ შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში;
- დინამიკური შესყიდვის სისტემის მონაწილეს – თუ შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება დინამიკური შესყიდვის სისტემის ფარგლებში;
- სხვა შემთხვევებში – ეკონომიკურ ოპერატორს, თუ გადაწყვეტილება/ქმედება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

ახალი კანონპროექტი მკაფიოდ განსაზღვრავს დავების საბჭოს წევრთა დანიშვნისა და ვადაზე ადრე გათავისუფლების წესებს. IDFI-მ 2020 წელს მოამზადა იმდროინდელი საბჭოს [მიმოხილვა](#). ანალიზის შედეგად მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც კანონპროექტში გათვალისწინებულია. სხვა რეკომენდაციებს შორის, მნიშვნელოვანი იყო დანიშვნისა და გათავისუფლების დეტალური წესების გაწერა არა კანონქვემდებარე აქტში, არამედ კანონში; წევრების უფლებამოსილების ვადების გაზრდა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამადლება; ასევე, სხვა წინადადებები, რომელთა მთავარ მიზანს საბჭოს დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა წარმოადგენდა.

კანონპროექტი ითვალისწინებს საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადის გაზრდას 5 წლამდე, როგორც ეს მოცემული იყო 2020 წლის ივლისში მიღებული [კანონში](#) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ამის გარდა, მკაფიოდ არის მოცემული წევრობის საკმაოდ მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საბჭოს ეყოლება აპარატი და გამოეყოფა ფინანსური რესურსი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კონკურენციის ეროვნული სააგენტოსთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებებიდან, რაც ხელს შეუწყობს მის დამოუკიდებელ საქმიანობას.

## IX. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება

ინიცირებულ კანონპროექტში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი. პროექტის მიხედვით, საჯარო შესყიდვების სფეროში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მიზნებისთვის, პასუხისმგებელ პირად განიხილება:

- ა) ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო/განახორციელა შესაბამისი გადაწყვეტილება/ქმედება;
- ბ) თუ გადაწყვეტილება/ქმედება მიიღება/ხორციელდება კოლექტიურად – კოლექტიური ორგანოს წევრი, რომელმაც მხარი დაუჭირა შესაბამისი გადაწყვეტილების/ქმედების მიღებას/განხორციელებას.

საჯარო შესყიდვების სფეროში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ექვს თვეს სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან, მაგრამ სამართალდარღვევის ჩადენიდან არაუმეტეს სამი წლისა. ამასთან, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია, არ შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და დამრღვევს მისცეს წერილობითი შენიშვნა.

## X. ინტერესთა კონფლიქტი

კანონპროექტის მიხედვით, ინტერესთა კონფლიქტი მოიცავს ნებისმიერ ისეთ შემთხვევას, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციაში ან/და ეკონომიკურ ოპერატორში დასაქმებულ პირს, რომელიც მონაწილეობას იღებს კონკრეტული საჯარო შესყიდვის განხორციელებაში, მოქმედებს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით ან/და შეუძლია გავლენის მოხდენა შესყიდვის პროცედურების შედეგზე, აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი, ფინანსური ან სხვა პერსონალური ინტერესი, რამაც, საჯარო შესყიდვის განხორციელებისას, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. კანონის მოქმედ რედაქციაში ინტერესთა კონფლიქტს ეხება ერთი მუხლი, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან

აცილების პირობებს განსაზღვრავს, უთითებს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლზე (ურთიერთდამოკიდებული პირები) და კანონქვემდებარე აქტებით ავსებს ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის დროს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების წესებს.

ახალი კანონპროექტი დეტალურად და მკაფიოდ ჩამოთვლის შემთხვევებს, რაც კონკრეტული შესყიდვისას ინტერესთა კონფლიქტად განიხილება. კერძოდ, კონკრეტული საჯარო შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვების კომიტეტის/ჟიურის ან/და მისი აპარატის წევრს, ექსპერტს, კონსულტანტს, შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელ პირსა და შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა უფლებამოსილ პირს, რომელიც ჩართულია საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება თუ:

- იგი ან მისი ნათესავი არის ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელი, წილის მფლობელი, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, აგრეთვე, იყო ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელი, წილის მფლობელი, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში;
- იგი არის ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელის, წილის მფლობელის, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ნათესავი;
- იგი ან მისი ნათესავი არის ეკონომიკური ოპერატორის, ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელის, წილის მფლობელის, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წარმომადგენელი;
- იგი არის ეკონომიკური ოპერატორის, ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელის, წილის მფლობელის, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის წარმომადგენლის ნათესავი;
- იგი ეკონომიკურ ოპერატორთან, ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელთან, ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელთან, წილის მფლობელთან, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან ერთად არის სხვა ეკონომიკური ოპერატორის წილის მფლობელი, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- იგი ეკონომიკურ ოპერატორთან, ეკონომიკური ოპერატორის წარმომადგენელთან, ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელთან, წილის მფლობელთან, მმართველი ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან ერთად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს სხვა ეკონომიკურ ოპერატორს;
- იგი თანამდებობრივად ექვემდებარება ეკონომიკური ოპერატორის ხელმძღვანელს, წილის მფლობელს, წევრს, მმართველ ორგანოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, მათ წარმომადგენელს ან, პირიქით, აღნიშნული პირები ექვემდებარებიან მას;
- იგი, გარდა ამ პუნქტში ჩამოთვლილი ხერხებისა, სხვა გზით პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ეკონომიკურ ოპერატორს;
- იგი, როგორც ფიზიკური პირი, თავადაა პრეტენდენტი/კანდიდატი შესყიდვის პროცედურაში

ნათესავისა და კონტროლის ტერმინები კვლავ საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განისაზღვრება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილი წესით, ელექტრონულ სისტემაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია კონკრეტული შესყიდვის განხორციელებისას, შესყიდვების კომიტეტის/ჭიურის ან/და მისი აპარატის წევრის, ექსპერტის, კონსულტანტის, შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირისა და საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა უფლებამოსილი პირის შესახებ. ეს პირები კვლავ წერილობით ადასტურებენ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას, ხოლო მსგავსის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა განაცხადონ თვითაცილება. სავალდებულოა, რომ აღნიშნული ოქმები საჯაროდ აიტვირთოს ელექტრონულ სისტემაში. ამასთან, თავად ეკონომიკურ ოპერატორს აქვს უფლება დააყენოს ზემოთაღნიშნული პირების აცილების საკითხი, თუ მას ექმნება ინტერესთან კონფლიქტი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ახალი კანონით, ინტერესთა კონფლიქტის პირობების გავრცელება ქვეკონტრაქტორებზეც, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების შემთხვევებში კორუფციული რისკების შემცირებას. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის, აგრეთვე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის დეტალური წესი და პირობები განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტი ჯერ მიღებული არ არის.

## დასკვნა

შესყიდვების კანონპროექტში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება არის შეტანილი, რაც გარდაქმნის და გააუმჯობესებს არსებულ სისტემას, ამასთან, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს. პოზიტიურად უნდა აღინიშნოს ისეთი ცვლილებები, როგორცაა ქვეკონტრაქტორების ცნების შემოტანა და დარეგულირება; დავების საბჭოს დამოუკიდებლობისთვის ახალი წესების დანერგვა და საბჭოსთვის აპარატის შექმნა და ფინანსური რესურსის მინიჭება; შესყიდვების კონტექსტში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების დეტალურად და მკაფიოდ ჩამოთვლა. მისასალმებელი ნაბიჯია ასევე საჯარო შესყიდვების პრინციპებში მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის აღნიშვნა.

მიუხედავად ამისა, კანონპროექტში იკვეთება საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლების გაფართოების მიუხედავად, პრობლემურად რჩება შავ სიაში რეგისტრაციაზე შემსყიდველების დაბალი მიმართვიანობა, რომლის გადაჭრის შესაძლო მექანიზმებსაც, მიმართვის დავალდებულებისა და შემდგომი კონტროლის სახით, ახალი კანონპროექტი არ ითვალისწინებს. ცენტრალიზებულ შესყიდვებზე პასუხისმგებელი ორგანოს ცალკე შექმნა, რომელსაც დამატებითი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები დასჭირდება, არ არის საკმარისად დასაბუთებული.

ბოლო წლებში ყველაზე პრობლემურად სახელმწიფო შესყიდვების მხრივ სახელდებოდა გამარტივებული წესით განხორციელებული შესყიდვების მაღალი მაჩვენებლი, რაც

განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო პანდემიის პირობებში. ახალი კანონპროექტი ამ პრობლემას არ ჭრის, რადგან წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურა დაიშვება იმავე შემთხვევებში, რაც განსაზღვრული არის მოქმედი კანონმდებლობით.

IDFI-ის მიერ მანამდე გამოქვეყნებული შეფასების მიხედვით, არ არსებობდა საჯარო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების შორის კონსულტაციების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში აღმოჩენილი პრობლემების შესახებ დიალოგის წარმოება. კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთ მექანიზმს.

IDFI-ის სხვადასხვა კვლევის ფარგლებში იკვეთებოდა, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემა საჭიროებდა გაუმჯობესებას, რათა მეტად ყოფილიყო გათვალისწინებული მონიტორი ორგანიზაციების პრობლემები და რეკომანდაციები პორტალზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და დამუშავების კუთხით.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც IDFI-ის კვლევებში ხშირად იყო ხაზგასმული ელექტრონული სისტემის გამჭვირვალობასთან მიმართებაში, იყო საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება ღია, მანქანა-წაკითხვად ფორმატში. ეს მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კანონმდებლობაში, რადგან ამ ეტაპზე ელექტრონულ სისტემაში საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით არსებული მონაცემების საჯაროობის მოთხოვნა მხოლოდ განზოგადებული სახით არის შეტანილი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვალდებულება საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმითაც ჰქონდა აღებული. დასრულების თარიღად 2019 წელი იყო განსაზღვრული, თუმცა პროექტის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ინფორმაციის გამოქვეყნება ღია, მანქანა-წაკითხვად ფორმატში ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებასაც. აუცილებელია ეს ვალდებულება კანონის დონეზე გაიწეროს ახალი კანონპროექტის ფარგლებში. ამ ეტაპზე ეს მოთხოვნილება შესრულებული არ არის. ასევე მნიშვნელოვანია, საჯარო შესყიდვების სისტემაში სრულად დაინერგოს ღია კონტრაქტების პრინციპი ღია კონტრაქტების სტანდარტთან (OCDS) შესაბამისობაში.

IDFI-ის სხვადასხვა [კვლევაში](#) არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში რამდენიმე უწყების მიერ გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების არ გამოქვეყნების პრაქტიკასთან დაკავშირებით. ამ ეტაპისთვის, პორტალზე კვლავ არ იძებნება მთავრობის ადმინისტრაციის გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები და შინაგან საქმეთა სამინისტროს გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებები 2019 წლის შემდეგ. აღნიშნული პრობლემა წლებია მოუგვარებელი რჩება, რის გამოც, მიზანშეწონილია, ახალმა კანონმა ხელშეკრულებების საჯაროობის უზრუნველყოფა მეტად გაამყაროს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, ისე სააგენტოს მხრიდან და ამ მიზნით, უზრუნველყოს გარკვეული ტიპის ზემოქმედების საშუალებების დანერგვა საკანონმდებლო დონეზე.



**ინფორმაციის თანსუფიჯების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)**

---